

საგზაო

ქართული
გაზეთთა
კავშირთა
კავშირი

ფასი 50 თეთრი

საერთოული გაზეთი

საბუთაბათი 15 იანვარი 2004 №6 (2025)



ბადრი კეთილშობილი ფოტო

ახალი დრო, ახალი დროვა



ახლა ჰიმნის ჯერია

შოთა არველაძე: ამ ჰიმნს არავინ მღერის, მის ნაცვლად ხან „შავუეგოს“ მღერიან, ხან „თბილისოს“, ხან ჟი რალაც ჰატარა მონაკუთს ამ ჰიმნიდან. არა მგონია, ეს ჰიმნი ჩვენი სისხლი და ხორცი იყოს, რადგან ის ურმა არ იცის. ეს ის ჰიმნი არ არის, რომელმაც უნდა დაგაყრიალოს.

ფული იქნება



მერაბ ყორღანის მეგობარმა ბიზნესმენებმა საბოლოოდ დაადასტურეს, რომ ანრი მიშელის ჯამაგირისთვის თანხას გამოდიან.

დევიდ სიმენის თავბადავლებული თავბადასავალი

მე ინგლისს ჰუბოვებ დევიდ ჯაიმსს



90-იანი წლების განმავლობაში სიმენი იყო ნაკრების უკონკურენტო მეკარე, თუმცა ხალხს ის რამდენიმე დრამატული შეცდომითაც დაამახსოვრდა, რომლებიც „არსენალისა“ და ნაკრების გადამწყვეტ თამაშებში წამყვანი აღმოჩნდა. ინგლისში ახლა პოპულარულია საფეხბურთო ფილმი მეკარეთა საშინელი შეცდომების შესახებ და ამ ფილმში მთავარ მთხრობელად სწორედ სიმენი გამოდის.

40 წლის მეკარის უკანასკნელი საფუდარი „სიტი“ იყო, სადაც ის ნახევარ სეზონს, ცვალებადი ილბიანობით იცავდა კარს. სიმენს სტანჯავდა მხრის ძველი ტრავმა, რომელიც გასულ კვირას გაუძიებდა. სიმენი „პორტსმუთ“ — „სიტი“ მატჩის მე-13 წუთზე შეცვალეს მხრის გაუსაძლისი ტკივილის გამო. მან თავად ურჩია კლუბს, რომ პირველი დივიზიონის „ვესტ ჰემიდან“ გადმოუბრუნებინათ ამჟამად საუკეთესო ინგლისელი მეკარე და ნაკრებში მისი შემკვი-

„მანჩესტერ სიტის“ მეკარე დევიდ სიმენი თამაშს გამოეთხოვა. მან გამოაცხადა, რომ ამიერიდან მინდორზე აღარ გავა. არ შეიძლება სიმენი მოიხსენიონ მხოლოდ „სიტის“ მეკარედ, ის ამ გუნდს მხოლოდ გასულ ზაფხულს შეუერთდა, მანამდე კი 13 წელიწადს იდგა „არსენალის“ კარში, ნაკრებში კი 75-ჯერ ითამაშა: უკანასკნელად ორი წლის წინათ მაკედონიელთა წინააღმდეგ

დრე დევიდ ჯეიმსი. „სიტი“ „ვესტ ჰემს“, ფაქტობრივად, უკვე მოლაპარაკა. ტრანსფერი 2 მილიონი გირვანქა დაჯდება.

ამის შემდეგ ვალმობილმა მეკარემაც აღარ დაახანა: „ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ოჯახთან თათბირის შემდეგ წასვლა გადაწყვიტე. აზრი ჩემთვის პატივსაცემი ხალხსაც კეთილზე. ასეთი ტრავმა ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს და ამიომომ ბუცების კედელზე ჩამოკიდების დროა“. კევინ კიგანმა კი თქვა: „ეს საერთოდ, მძიმე გადაწყვეტი-

ლებაა. დევიდი ძალიან გვეხმარებოდა შემცვლელის არჩევაში, მისი საკარიერო შედეგი და მიღწევები გამორჩეული კაცის მიღწევებია“.

სიმენმა 1000-ზე მეტი მატჩი ითამაშა კარიერაში, 1996 წელს კი ბრიტანეთის იმპერიის წევრობაც მიიღო დედოფლისგან. იმ წელიწადს, ევროპის ჩემპიონატზე მან პენალტები აიღო შოტლანდიასთან და ესპანეთთან მატჩებში. „არსენალში“ თამაშისას მან სამჯერ მოიგო ჩემპიონობა და ასოციაციის

თასი, თითოჯერ ლიგისა და თასების მფლობელთა თასი.

მისი კარიერის უმაღლესი მატჩი 1995 წლის თასების მფლობელთა თასის ფინალის ბოლო წუთი იყო, როცა სარაგოსელმა ნაიმამ მოედნის შუაგულიდან დაარტყა მისი კარისკენ და წინ გამოსული სიმენი ბურთს ვერს მისწვდა. ამ გოლმა „არსენალს“ თასი აართვა.

ასეთივე თავსებადვლებული ბურთი სიმენმა ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზეც გაუშვა ბრაზილიელ რონალდინიოსგან და ამ გოლმა ინგლისი მსოფლიო თასიდან გამოიშვა.

საერთოდ კი, სიმენი მხოლოდ ამ ორი შეცდომის კაცი არ იყო, მთელი ათი წლის მანძილზე ის ყველაზე საიმედო და მაღალი კლასის მეკარედ რჩებოდა ინგლისში, რა არის რომ საფეხბურთო სიბერემ მოედანზე უწია, ის კი ჯიუტად აგრძელებდა თამაშს.

ირაკლი ბაჩყალიძე

საჰა? ჰა, ჰა!

მანჩესტერის სურვილს ხოულბენი სააზრე დასვა

ლონდონის „ფულემმა“ უარყო ხმები, თითქოს ფრანგ თავბადავლებულს, ლუი საჰას „მანჩესტერ იუნაიტედში“ ჰყვიდის. მოგეხსენებათ, თავად საჰა ამბობდა, რომ მას „მანჩესტერში“ უკვე სამედვიცინო შემოწმება უნდა გაეკეთებინათ, ხოლო თანხა, რომელსაც ინგლისის ჩემპიონი იხდოდა და რომელიც „ფულემსაც“ აძლევდა ხელს, 9,8 მილიონი გირვანქა, ანუ 18,10 მილიონი დოლარი იყო, მაგრამ ერთი შეხედვით, მოულოდნელად ლონდონური კლუბის პრეს-ატაშემ BBC-ს განუცხადა:

„შემოთავაზებაში ახალი არაფერი იყო და ამიტომ თანხმობაც არაფერზე გვითქვამს. ამასთან, ფეხბურთელისთვისაც არ მიგვიცია მანჩესტერელებთან მოლაპარაკების ნება. ერთი სიტყვით, ხმები, თითქოს საჰას „მანჩესტერ იუნაიტედში“ სამედვიცინო შემოწმებაზე და ჰქონდა საკმე მიმდგარი, არც მეტი, არც ნაკლები სისულელეა“. „ფულემის“ ბოსმა კრის კოულმე-

ნმა ისიც კი თქვა, ეგ ბიჭი წყნარად იყოს, თორემ სკამს ვერ ასცდებო.

ახლა კი გავიხსენოთ, რა განუცხადა 25 წლის ფრანგმა ბრიტანულ გაზეთებს ერთი ხნის წინ:

„ძალიან ბედნიერი ვარ, საბოლოოდ ორ კლუბს შორის მოლაპარაკება დასასრულს რომ მიუახლოვდა. ჩემი ოცნება, მეთამაშა „მანჩესტერ იუნაიტედში“ სადაცაა ახლება, თუმცა ჯერ სამედვიცინო ემწმობება უნდა გავიარო“.

დანამდვილებით ის შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დეკემბერში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „ფულემს“ 8 მილიონი გირვანქა ანუ 14,48 მილიონი დოლარი შესთავაზა, მაგრამ ლონდონელებმა უარი განაცხადეს.

„მთელი თვეა მანჩესტერში გადასვლაზე ვფიქრობ. ვიცი, უნდა დავამტკიცო, რომ თამაში კარგად შემიძლია, მაგრამ ყველა შემთხვევაში „იუნაიტედში“ თამაში ჩემს კარიერაში დიდი წინგადადგმული



ნაბიჯია. მჭამს, საკუთარ ნიჭსა და უნარს წარმოვაჩინ“ — ამბობდა საჰა.

საჰა „ფულემში“ ფრანგული „მეციდან“ სამი წლის წინ 2,1 გირვანქის სანაცვლოდ გადავიდა. ამ სეზონში, „ვევერტონთან“ შეხვედრაში პენალტი შეავლო და ეს უკვე მისი მე-13 პრემიერლიგური გოლი გამოდგა. „იუნაიტედს“ ფრანგი რუულ ვან ნისტელროის მეწყვილეად ან სათადარიგოდ სჭირდებოდა. მოგეხსენებათ, მანჩესტერელები ბოლო 12 სეზონში მე-9 ჩემპიონობისთვის და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებისთვის ემზადებიან და იბრძვიან. ვან ნისტელროის გარდა „მანჩესტერს“ მხოლოდ ერთი ცენტრფორვარდი, დიეგო ფორლანი ჰყავს, თუმცა აქ არას ვამბობთ ოლე გუნარ სოლსკაერზე. ეს ნორვეგიელი სექტემბრის შემდეგ დაშვებულია და მუხლის ოპერაციის დაამებას ელოდება.

ბაბუნა კილია



გუნდი ნიკი ბათისტის მოდის, ჩემო ჰატარა მეგობარო



სტივ მაკლარენი ნიკი ბათის ხელგაშლილი დაუხვდება

„მანჩესტერ იუნაიტედი“ გამოაცხადა, რომ ნიკი ბათის გასაშვებას კი აპირებს, მაგრამ გაცვლას არა.

ბათის შეტენის მსურველი „მილდსბრო“, ოღონდ აქამდე ამბობდნენ, რომ „იუნაიტედი“ მცველ გარეთ საუთგეიტში გაცვლის თავის ნახევამცველს საუთგეიტი რიო ფერდინანდის დროებით შემცვლელად იგულისხმებოდა, მაგრამ მანჩესტერელებს ახლა სურთ, რომ ფული მოაგროვონ „ფულემელ“ ლუი საპას საყიდლად და ამიტომ ბათის გაყიდვა სურთ.

ნიკი 11 წელიწადს თამაშობდა „მანჩესტერში“, ახლა კი, რასან დი-

რიტალში ველარ ხვდება, წასვლა გადაწყვიტა. „ბოროს“ მხარდამხარ მას „ტოტენჰემი“, „ნიუკასლი“, „ევერტონი“ და „ბირმინგემი“ ეხმებიან.

სერ ალექს ფერგიუსონმა თქვა: „ნიკი გაშვება ითხოვა. ძალიან ნაღვლიანია ჩემთვის. ფილ ნევილის, კლემენტისა და დარენ ფლეტჩერის კარგი თამაში მას გარანტირებულ სასტარტოს ვერ ჰპირდება. ის დიდი მსახური იყო ჩვენი გუნდისა, მაგრამ ყოველ შაბათს თამაში სწყურია.“

„ბოროს“ თავკაცი სტივ მაკლარენი ნიკის ახლო უფროსი მეგობარია „მანჩესტერში“ თანაშემწე-

ობის დროიდან და დიდად სწადია მისი თავისთან წაყვანა, თუმცა 5 მილიონ ვირჯანქად შეფასებულ ფეხბურთელს სხვებიც არ დაიწყებენ.

ბათი მანჩესტერში დაბადებული ბიჭია და იმ განთქმულ „72-იანთა თაობას“ მიეკუთვნება, რომელშიც რაიან გიგზი, ვარი ნევილი, პოლ სკოულზი და დევიდ ბექემი შედიან. სხვათა შორის, ბათი პირველი იყო იმათგან, გუნდის ძირითადში რომ მოხვდა იმავე 1992 წელს. ის შარშანაც წამყვანი ფიგურა იყო გუნდში, მაგრამ მუხლის ტრავმამ წლეულს საქმეები წაუხდინა.

ირაკლი ბაგჩაშვილი



ალექს ფერგიუსონი

გაბრძენლება ფერგიუსონებია თუ სიმპსონები?

ტიმ ჰოვარდის ტრანსფერის გარშემო ატეხილ აურზაურში ახალი დეტალები გამოჩნდა. აქამდე („სანდი თაიმის“ წყალობით) ცნობილი იყო, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ უფლებამოსილმა შვეიცარიელმა აგენტმა გაეტანა მართლამ 139 000 ევრო მონაკოში მავან მაიკ მორისს უფუქსა, მორისი კი ალექს ფერგიუსონის შვილის, ჯეისონის მეგობარი ყოფილა.

ორიოდ დღის წინ მართლამ ბრალდება უარყო, მორისი ჩემი ბიზნესპარტნიორია და როცა მსურს და რამდენიც მსურს, იმდენ ფულს გავეუზავნი, ფერგიუსონები ამ საქმეში უდანაშაულონი არიანო.

ინგლისური პრესის ცინცხალი ცნობით, გაეტანო მართლამ კი არა, ტიმ ჰოვარდის ტრანსფერის ამბავში აგენტად თურმე ჯეისონ ფერგიუსონი გამოსულა. ეს ნიშნავს, რომ გუნდის („მანჩესტერ იუნაიტედი“) მწვრთნელის შვილი გარიგებაში დაინტერესებული პირი იყო. აღსანიშნავია, რომ ნიუ იორკ „მეტროსტარზის“ (ჰოვარდის ყოფილი გუნდი) ბოსები თავიანთი მე-

კარის სანაცვლოდ ფულს რომ ითხოვდნენ, სათანადო საბუთებში ალექს ფერგიუსონის შვილი აგენტად მოიხსენიეს.

ისიც ითქვა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ მწვრთნელმა იცის, თუ ვინ მიართვა „სანდი თაიმის“ უწინაღობის უზომო ნახსენები საბუთების ასლი, მაგრამ ამის დამტკიცება ალბათ გაუჭირდებაო.

მანჩესტერული კლუბის თავკაცებმა განაცხადეს, ალექს ფერგიუსონისა და მისი შვილის საკითხთან დაკავშირებით რაიმე საგანგებო სხდომის მოწვევას არ ვაპირებთ, რადგან ვფიქრობთ, ყოველივე ფერგიუსონების ოჯახის დისკრედიტაციისთვის კეთდებაო. ხოლო თუ ვის სურს ოჯახის სახელის შებღალვა, თავადაც მიხვდებით. მას, ვინც „სანდი თაიმში“ ქაღალდები მიარბენინა.

უცნაურია, მაგრამ სერ ალექსს ჯერჯერობით მომხდართან დაკავშირებით არაფერი უთქვამს, ალბათ საღეჭი რეზინა საუბარში ხელს უშლის.

ვაჟა ხუციშვილი

როგორც იქნა, „ლივერპულმა“ ზედიზედ ორი თამაში მოიგო, მაგრამ გუნდის ყოფას უფრო გლობალურულად თუ განვიხილავთ, სანუგეშოს ბევრს ვერაფერს აღმოვაჩენთ.

ნინა კვირაში კლუბის გულშემოტყვიანებმა კლუბისავე უფროსობას ხმაც მიანუდინეს, ცხრილში დიდი სამეულის — „მანჩესტერ იუნაიტედის“, „არსენალისა“ და „ჩელსის“ უკან რომ ვართ და გვარიანადაც ჩამოვრჩებით, არ გვეპიტნავებაო. ცხადია, რომ ასეც იქნებოდა

შეგეგმოს მურსები! ლივერპულის საახალგაზრდო მორბანია

მაგრამ გულშემოტყვიართა ხმა-შეწყობილ ძახილს და პროტესტს იშვიათად თუ მოჰყვება-ხოლმე რაიმე რევოლუციური ცვლილებები. ამ საქმისთვის ლივერპა საჭირო, რაც ქართველებს არ გვესწავლება. ლივერპულელ გულშემოტყვიართა ლიდერად კი ვინმე სტივ მორგანი იქცა.

თუმცა სტივ მორგანი ვინმე სულაც არ არის. ის კლუბის აქციონერია — აქციათა რაოდენობის ფლობის მხრივ, მესამე კაცი. ოღონდ ისაა, რომ მესამე უმსხვილეს აქციონერს სულ რაღაც 5 პროცენტი ეკუთვნის. ათი პროცენტის მფლობელია ტელეკომპანია „გრანდა“, 51 პროცენტი კი დევიდ მურსის ხელშია. საერთოდაც, მურსების ოჯახი ბარე 50 წელია, „ლივერპულის“ მფლობელები არიან და 51 წლის დევიდ მურსს აქციები მემკვიდრეობით 1991 წელს ერგო.

ახლა გულშემოტყვიართა მხარდაჭერით გათამამებული მორგანი ამბობს, მურსის ერთპიროვნულ პარაშს ბოლო უნდა მოეუღოთ, რაკი უვარგისი მეპატრონე გამოდგა და ჩვენც, სხვა მოწილეებსაც გვეთქმის სიტყვაო. სხვათა შორის, მორგანი, მესამე უმსხვილესი აქციონერი, დირექტორთა საბჭოს წევრად არ შეჰყავთ, დევიდ მურსს კი წინაპრების დატოვებული 18 საჩემპიონო ჯილდოსთვის ერთიც არ შეუმატებია. მოგეხსენებათ, რომ „ლივერპული“ ინგლისის ჩემპიონი

ბოლოს 1990 წელს გახდა, დევიდის გამეთაურებამდე ერთი წლით ადრე.


დღეს დევიდ მურსი ამბობს, რომ სტივ მორგანთან შესახვედრად და სალაპარაკოდ მზად არის, მაგრამ აფრთხილებს: „მნიშვნელოვანი ცვლილებები კლუბს კარგს არაფერს მოუტანს. მორგანს კი შეეხვდები, მაგრამ ვეჭვობ, ჩვენი პოზიციების შეჯერება მოვანერხოთ. თუ ოპონენტები მუშაობას არ მაცლიან, იძულებული ვაგხვდები, ჩემი აქციები ვინმე აბრამოვიჩის ნაირ პიროვნებას გადავულოცო.“

მორგანი კი ამბობს, კარგი საქმეების გასაკეთებლად ფული საკმარისად გვაქვს და გუნდის გამლიერებაც შეგვიძლია და ახალი სტადიონის აშენებაცო.

ახალი სტადიონის აშენებას მორგანი 2006 წლისთვის აპირებს, 60 ათასიანი იქნება და „სტენლი პარკი“ ეწოდება. ოღონდ სტადიონიც და სხვა რამეებიც, ცხადია, იმ შემთხვევაში იქნება, მორგანი თავისი 5 პროცენტის გაზრდას თუ შეძლებს.

და ერთიც, მორგანის პოზიციების გამყარება და მურსის პოზიციების შესუსტება უეჭველად გამოიწვევს ჟერარ ულიეს მენეჯერობიდან დათხოვნას. ფრანგი მურსების ოჯახის დაახლოებული პირია და მათი სრული ნდობით სარგებლობს.

ირაკლი ნინიძე



დევიდ მურსი ჟერარ ულიეს ჭერჯერობით ენდობა

ლუდოვიკ | პატარა უფლისწული დაზანა ახაროხა

იგი დიდძალ დეშანის ხელში სხვანაირად, ანუ უკეთესად ათამაშდა. სეზონში უკვე თერთმეტი გოლი მიითვალა, ორი ამდენი საგოლე პასი კი თანაგუნდელებს დაურიგა საფრანგეთის ჩემპიონატისა თუ ჩემპიონთა ლიგის მატჩებში. ვინ იცის, „ლიონში“ რომ დარჩენილიყო და „მონაკოში“ დეშანთან არ მოხვედრილიყო, ეგებ ერთ ჩვეულებრივ ფლანგის მოთამაშედ დარჩენილიყო. საფრანგეთის ჩემპიონატის მეორე წრის პირველ ტურში „მონაკომ“ „ლიონს“ 3:0 მოუგო და სამიდან ორი გოლი სამთავროში „პატარა უფლისწულად“ მონათლულმა ლუდოვიკ ჟიულიმ გაიტანა.

27 წლის ლუდოვიკს მიჩნია, რომ მის „გარდასახვაში“ მთავარი როლი „მონაკოს“ მწვრთნელმა ითამაშა. „უეჭველად დეშანის ხელი ურევია — თქვა ჟიულიმ — განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მისგან რაც ვისწავლე, მუდამ კარგი ფიზიკური ფორმის შენარჩუნებაა. იგი ყოველთვის ჩავგვიჩინებს, რომ ძალების აღდგენა და სტაბილურობის მთელი სეზონის განმავლობაში შენარჩუნება ფეხბურთელისთვის უმთავრესია“.

„პატარა უფლისწული“ მონობლულად დიდძალ დეშანის ტაქტიკური გა-

ნსწავლელობით: „როცა მან ფლანგიდან გამთამაშებლის პოზიციაზე გადამიყვანა, გამიკვირდა და ცოტა ველავდი კიდევ, რადგან ჩემი ამპლუა არ იყო, მაგრამ როცა გოლის გატანის გემო რამდენჯერმე გავიგე, გამთამაშებლობა გამიტკბა და კარგად შევეგუე რისთვისაც მწვრთნელის უზომოდ მაღლივი ვარ“.

ჩემპიონთა ლიგაში „დეპორტივოს“ განადგურების (8:3) შემდეგ მონაკოელი ჟიული გაზარებული კი იყო, მაგრამ შედეგსა და გუნდის კონდიციებს არ გაუკვირებია: „სეზონის დასაწყისშივე ვვარაუდობდი,



ლუდოვიკ ჟიული


რომ „მონაკო“ მაღალ დონეზე ათამაშდებოდა. საკმაოდ ახალგაზრდულმა ჩვენმა გუნდმა შარშან საფრანგეთი ააღაპარა და დარწმუნებულ ვიყავი, რომ საფრანგულში შემადგენლობის ბირთვის შენარჩუნებას თუ მოვახერხებდით, უკეთეს შედეგს მივაღწევდით“.

„მონაკომ“ ჩემპიონატში მღვერები გვარაინად მოიტოვა, ჩემპიონთა ლი-

გის მერვედფინალშიც გავიდა და თავად ხელავთ, რომ ჟიულის წინათგონობა გამართლდა, თუმცა ფეხბურთელს მომავალი საფრანგული ეშინია: „ეს პრობლემა ფრანგული კლუბებს ყოველთვის აწუხებდათ. გამოჩნდებიან კარგი ფეხბურთელები, ერთ სეზონს გაიბრწყინებენ, მერე მათ ევროპელი ბობოლები იტაცებენ და გუნდი იშლება. შევეც-

ლებით, რომ შემადგენლობა კიდევ დიდხანს შევიწარმინოთ, რათა ევროსარბიელზე ჩვენი რიხიანი სიტყვა ვთქვათ. მსურს, ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე ვიაროთ და, რა თქმა უნდა, ქვეყნის ჩემპიონობას ვვებავთ, „მონაკოს“ ფეხბურთელთა უმეტესობა ხომ ჯილდოებით განებივრებული არ არის“.

გაგა ხუციშვილი




სერეიუ კონსეისაუ



ადრიანო

სერეიუ კონსეისაუს ამბავი გასაგებია, პორტუგალიელისა და „ლაციოს“ გზები საბოლოოდ გაიყარა, ხოლო რაც შეეხება დეიან სტანკოვიჩს, მისი ამბავი სხვანაირადაა — დაყრილი ხმების მიუხედავად, ამ კვირაში იგი „ინტერში“ არ გადავა



წადი-მოდრი სანამ დროა

კონსეისაუს პარი გაულუს სტანკოვიჩი მოიცდის, რიგში აღრიანო

კონსეისაუ, მოგვხსენებთ, „ლაციოში“ „ინტერიდან“ ამ სეზონის წინ გადავიდა, მაგრამ ახალ გარემოს ვერ შეეწყო და გადაწყვიტა უარყოფითი გარემო მოეშალა. აღსანიშნავია, რომ ამ ნახევარმკველმა სულ პირველად „ლაციოს“ ფორმა 1998 წელს მოირგო და მაშინ დიდი ეფექტი მოახდინა, კლუბთან ერთად მოიპოვა თასების მფლობელთა თასი, ევროპის სუპერთასი, სკუდეტო, იტალიის სუპერთასი და კოპა იტალია, მაგრამ შემდეგ ვერც „პარმაში“ და ვერც „ინტერში“ ვეღარ მოახერხა მოწინავე როლზე დაკვიდრება.

„ლაციოდან“ წასული კონსეისაუ შესაძლოა, ესპანეთში ან ინგლისში წავიდეს, თუმცა არც მშობლიური პორტუგალიის რომელიმე გუნდში გადასვლა იქნება გამორიცხვად. ფაქტი ერთია, სადაც არ უნდა გადა-

ბარგდეს, მასში ფული არავის ექნება გადასახდელი.

რაც შეეხება სტანკოვიჩს, როგორც მოგახსენეთ, მასზე ამბობდნენ, რომ „ინტერში“ მიდიოდა და სანაცვლოდ „ლაციო“ 6,4 მილიონ ევროს მიიღებდა, მაგრამ მწვრთნელმა, რობერტო მანჩინიმ ხმები გააბათილა და კლუბმაც პრესაში ოფიციალური განცხადება გაავრცელა. ფაქტი ასეთია: სერბი ნახევარმკველის ხელშეკრულებას რომაულ კლუბთან ვადა სეზონის დასრულების შემდეგ გაუღის, ხოლო შემდეგ იგი სავარაუდოდ, „იუვენტუსში“ გადავა.

სხვათა შორის, „ინტერმა“ განაცხადა, რომ მისთვის ადრიანოს „პარმადან“ გადაბრუნება გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ზემოხსენებული სერბის შექენა. ეს სიტყვები არც მეტი, არც ნაკლები, თავად კლუბის პრეზიდენტს, მასიმო მო-

რატის ეკუთვნის. მან ბრძანა:

„ჩვენ „ლაციოს“ წარმომადგენლებს შევხვდით, მაგრამ ამ მომენტისთვის ადრიანო გვინტერესებს. „პარმაში“ ვითარება მაღიმაღ იცვლება და ამიტომ მისთვის თვალყურის დაყენებით დევნება ნამდვილად გვმართებს“.

ადრიანო, მოგვხსენებთ, სანახევროდ ისედაც „შავ-ლურჯების“ საკუთრება იყო, მაგრამ კლუბები „პარმას“ წილის „ინტერისთვის მიყიდვაზე, როგორც ირკვევა, დეკემბრიდან ლაპარაკობენ. გამოსული ხმების თანახმად მილანელები პარმელებს 15,6 მილიონ ევროს გადაუხდიან, ოღონდ თუ პარმელებს ფული ახლავე უნდათ, მაშინ ადრიანომ უახლოეს ტურებში უკვე „ინტერის“ შემადგენლობაში უნდა ითამაშოს.

გაგა ხუციშვილი

ჭაღარას დაბრუნება რაგანელი პირუჯაში მიიჩქარის

ჭაღარა თავზე მისურაწამოფასებული ფაბრიციო რავანელის ნახვა ვისაც მოენატრა, „პერუჯას“ მონაწილეობით სერია A-ს მატჩებს უყურეთ.

35 წლის იტალიელმა აპენინებიდან ინგლისში წასვლის შემდეგ „მიდლსბროში“ და „დერბი ქაუნთში“ ითამაშა. მერე შოტლანდიაში, „დანდიში“ იბურთავა, მაგრამ დანდური კლუბი გასული წლის ბოლოს გაკოტრდა და ფეხბურთელთა უმეტესობა დაითხოვა.

ფაბრიციო რავანელის უსაქმოდ ყოფნა დიდხანს არ ეწერა. ჭაღარა იტა-

ლიელი სამშობლოში, „პერუჯაში“ დაპატივეს და ექვსთვიანი კონტრაქტი გაუფორმეს. ასე რომ, ბებერი მეგობარი გაჭირვებულ პერუჯელებს სეზონის ბოლომდე დაეხმარება. ამ გუნდში 1986-87 წლებში შედგა რავანელის, როგორც პროფესიონალის დებიუტი და იგი ფესვებს თვრამეტი წლის შემდეგ დაუბრუნდა.

„პერუჯა“ დღეს იტალიის თასის მქონედიფინალში „იუვენტუსს“ მასპინძლობს, რომლის მისურაც რავანელის არაერთხელ წამოუფარებია ჭაღარა თავზე.

გაგა ხუციშვილი



ინგლისი. პრემიერლიგა. XXII ტური								ინგლისი. III დივიზიონი. XXVII ტური									
17 იანვარი								17 იანვარი									
	1	X	2	1-X	1-2	X-2		1	X	2	1-X	1-2	X-2				
16.30	001	ვულვერპემპტონი-მანჩესტერი	7,5	4,0	1,4	2,6	1,17	1,03	19.00	075	კარლაილი-იოვილი	3,6	3,3	1,75	1,72	1,17	1,14
19.00	002	ბოლტონი-პორტსმუთი	1,8	3,2	4,2	1,15	1,26	1,81	19.00	076	პადერსფილდი-ბოსტონი	1,5	3,6	6,0	1,05	1,2	2,25
19.00	003	ვეერთონი-ჩარლტონი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57	19.00	077	პალი-ოქსფორდი	2,1	3,2	3,2	1,26	1,26	1,6
19.00	004	სიტი-ბლეკბერნი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6	19.00	078	კიდერმინსტერი-დარლინგტონი	1,7	3,3	4,6	1,12	1,24	1,92
19.00	005	მიდლსბრო-ლეესტერი	1,8	3,2	4,2	1,15	1,26	1,81	19.00	079	ლეიტონი-მენსფილდი	2,6	3,2	2,4	1,43	1,24	1,37
19.00	006	საუთჰემპტონი-ლიდსი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95	19.00	080	ლინკოლნი-ტორო	1,8	3,2	4,0	1,15	1,24	1,77
19.00	007	ტოტენჰემი-ლივერპული	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37	19.00	081	მაკლსფილდი-კემბრიჯი	2,2	3,1	3,1	1,28	1,28	1,55
18 იანვარი								ინგლისი. კონფერენსი. XXVII ტური									
18.00	008	ასტონ ვილა-არსენალი	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14	17 იანვარი								
20.05	009	ჩელსი-ბირმინგემი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75	19.00	090	ალდერშოტი-ტელფორდი	1,65	3,3	4,8	1,1	1,22	1,95
	010	ჩელსი-ბირმინგემი 0:1	1,9	3,2	2,7				19.00	091	ბარნეტი-დავ ენდ რელი	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
19 იანვარი								19.00	092	ექსეტერი-მარგეტი	1,6	3,4	5,0	1,08	1,21	2,02	
24.00	011	ნიუკასლი-ფულემი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95	19.00	093	ფორესტ გრინი-ჩესტერი	4,4	3,3	1,7	1,88	1,22	1,12
ინგლისი. I დივიზიონი. XXVIII ტური								19.00	094	გრევესენდი-პალიუფაქსი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46	
17 იანვარი								19.00	095	ლეი-ფარნბორო	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49	
16.30	039	პრესტონი-უიგანი	1,95	3,2	3,6	1,21	1,26	1,69	19.00	096	მორიკომბი-ჰერეფორდი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
19.00	040	ბრედფორდი-კარდიფი	2,6	3,2	2,45	1,43	1,26	1,38	19.00	097	სუაზორო-უოუინგი	2,35	3,2	2,6	1,35	1,23	1,43
19.00	041	ბარნლი-ვესტ ბრომვიჩი	3,3	3,3	2,05	1,65	1,26	1,26	19.00	098	შირუსბერი-აურიენტონი	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
19.00	042	დერბი-ჯილინგემი	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49	19.00	099	სტივენეჯი-ბარტონი	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
19.00	043	იფსვიჩი-ქრიუ	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1	19.00	100	ტემპორთი-ნორთუიჩი	1,7	3,4	4,2	1,13	1,21	1,87
19.00	044	მილუოლი-სანდერლენდი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43	შოტლანდია								
19.00	045	ნოტინგემი-რედინგი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46	პრემიერლიგა. XX ტური								
19.00	046	როტერჰემი-ნორვიჩი	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33	17 იანვარი								
19.00	047	უოლსლი-ქოვენთრი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67	19.00	104	დანდი იუნაიტედი-აბერდინი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
19.00	048	უოტფორდი-კრისტალ პალასი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54	19.00	105	კიდმარნოკი-დანფერმლაინი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
19.00	049	უიმბლდონი-სტოკი	2,6	3,3	2,4	1,45	1,24	1,38	19.00	106	ლივენგსტონი-ჰიბერნიანი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
21.35	050	შეფილდი-ვესტ ჰემი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6	19.00	107	პარტიკი-დანდი	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
ინგლისი. II დივიზიონი. XXVII ტური								19.00	108	რეინჯერსი-მოხერუელი	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19	
17 იანვარი								19.00	109	რეინჯერსი-მოხერუელი 0:1	1,4	3,6	4,2				
19.00	056	ბარნსლი-ბორნმუთი	1,75	3,2	4,4	1,13	1,25	1,85	18 იანვარი								
19.00	057	ბრისტოლი-ჩესტერფილდი	1,35	4,0	8,0	1	1,15	2,66	19.00	110	პართსი-სელტიკი	9,0	4,6	1,3	3,04	1,13	1,01
19.00	058	ლუტონი-სტოკპორტი	1,55	3,5	5,6	1,07	1,21	2,15	შოტლანდია. I დივიზიონი. XXI ტური								
19.00	059	ოლდემი-უენსლი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43	17 იანვარი								
19.00	060	პიტერბრო-ბრენტფორდი	2,15	3,2	3,1	1,28	1,26	1,57	19.00	112	ბრეინი-სტ.მირენი	2,7	3,4	2,25	1,5	1,22	1,35
19.00	061	პლიმუთი-რამსდენი	1,5	3,6	6,0	1,05	1,2	2,25	19.00	113	კლაიდი-სტ.ჯონსტონი	1,7	3,5	4,2	1,14	1,21	1,9
19.00	062	პორტ ველი-გრემსბი	1,7	3,3	4,6	1,12	1,24	1,92	19.00	114	ფოლკირკი-როსი	2,35	3,3	2,6	1,37	1,23	1,45
19.00	063	ქუინზ პარკი-ბრაიტონი	1,6	3,4	5,3	1,08	1,22	2,07	19.00	115	ინვერნესი-ეარი	1,3	4,2	8,0	1	1,11	2,75
19.00	064	სუინდონი-კოლჩესტერი	1,85	3,2	3,8	1,17	1,24	1,73	19.00	116	ქუინი-რეითი	1,55	3,8	5,0	1,1	1,18	2,15
19.00	065	ტრანმერი-პარტლპული	2,2	3,2	3,0	1,3	1,26	1,54									
19.00	066	რექსემი-ნოტსი	1,6	3,4	5,3	1,08	1,22	2,07									
19.00	067	უიკომბი-ბლეკპული	2,5	3,2	2,45	1,4	1,23	1,38									

ბარაქიანი წელი და ოქროები დეპარტამენტებს დასსსფს



ელდარ კურტანიძე და ზაურ ცხადაძე



ლევან თედიასვილი



ალექსანდრე ჩივაძე

უზენიძეებთან და ზეიმობენ კიდევ ჩვენი სპორტსმენები. შარშან საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ მოწყობილ საახალწლო საღამოსა და იქ გამართულ დაჯილდოებას ჩვენი ქვეყნის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის გამოკითხვის შედეგად აღიარებულთა საზეიმო დაჯილდოება მოჰყვა.

ზეიმი გუშინ, ძველ ახალ წელსაც გაიმართა. ამჯერად საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა რესტორან „სარაჯიშვილში“ უზმო შარშან თავგამორჩენილ სპორტსმენებს, მათ მწვერთვლებს, სპორტულ ფედერაციათა თავკაცებს, სპორტულ ჟურნალისტებს და საერთოდ მთელ სპორტულ საზოგადოებას.

აქ კიდევ ერთხელ შეგვახსენეს შარშანდელი მართლაც უზემოსავლიანი სეზონი — სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მემარიაშვილი თავგამორჩენილ სპორტსმენტთა, მწვერთვლებს და სპორტულ ფედერაციათა ხელმძღვანელების დაჯილდოებას ვეღარ აუღლიდა. ამიტომაც ამ საქმეში სხვებიც დაიხმარა და ბლომად თასები, სიგელები, პრიზები და პრემიებიც დაარიგა. იყო სახელმწიფო ჯილდოებიცა და წინა დღით დაპირებული სიურპრიზი — „სპორტის რაინდის“ მშვენიერი მედალი, რომლის პირველი მფლობელი გახდნენ შარშანდელი სეზონის გმირები, თავისუფალი სტილის ფალავანი ელდარ კურტანიძე, ბერძნულ-რომაულად მოჭიდავე მანუჩარ კვიციანი, ფეხბურთელი კახა კალაძე, მოჭადრაკე და იმავდროულად ჭადრაკის ფედერაციის თანაპრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი და ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი გოჩა ძასოხოვი, რომლის სამწესოც ასევე საუკეთესოდ აღიარეს და სრულიად სამართლიანადაც.


შარშანდელ წარმატებებთან დაკავშირებული ზეიმები მგონი გუშინ გასრულდა, წინ კი ათენის ოლიმპიური თამაშები და უფრო მეტი მოლოდინია.

და თუ გაამართლა მოლოდინმა, ზეიმიც მაშინ იქნება, თუ იქნება!

ავთანდილ ხაჭიფაძე
ბადრი კეთილაძის ფოტოები



ზურაბ ზვიადური და ირაკლი მემარიაშვილი



ბადრი პატარკაციშვილი



გოჩა ძასოხოვი



ზაზა მაჩილაძე

დიდი და პატარა

პიუსტონელი იათ მინვი ძალიან დიდია, ვაშინგტონელი ბრუენ ნაიტი კი ძალიან პატარა. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ პიუსტონმა ყოველთვის უნდა დაამარცხოს ვაშინგტონი, მაგრამ ამჯერად კი ასე მოხდა, რომ „როკეტსმა“ დედაქალაქშივე სძლია „ვიზარდს“, 93:80.


REUTERS ვაშინგტონიდან



REUTERS ცალკვან სტოიდან

ფალაგნები პალაგნში

ფილიპინების პალაგან სიტიში სათლიმშიადლო შესარჩევი ტურნირი მიმდინარეობს. აზიელი მოკრივენი თავდაუზოგავად იბრძვიან ათენის სავზურებისთვის და ტყუილად ვგონიათ, რომ მსუბუქუნოსნები, ჩინელი ფოუ შიძინვი (მარჯვნივ) და იაპონელი ტასიუკი იგაკასი ერთმანეთს კოცნიან. კრივი ფიცხელი იყო და ჩინელი ნახევარფინალში გავიდა.



REUTERS ათენიდან

ჯარი მზადაა

წელს თლიმშიადა და ათენი ემზადება. ემზადება ჯარის და პოლიციის ბერძნული ელიტაც, რომელიც ნუა პერამოსის ბაზაზე ვარჯიშობს და თავისი ოსტატობით ყოველგვარ ტერორიზმს აგვევს თლიმშიადის დღეებში

მეათასა

„ტორონტო მეიპლ ლიგზის“ გარი რობერტსმა მეათასედ ითამაშა ამ გუნდის შემადგენლობაში. საიუბილეო დღეს პიუსტონის ფერტილო ვადასცა „კალგარი ფლეიმზის“ კაპიტანმა ჯერომ ივინლამ. სიმბოლური გამოდგა ის, რომ რობერტსი სწორედ „კალგარის“ წინააღმდეგ ვაგიდა თავის მეათასე თამაშზე: 1984 წელს ის „კალგარში“ აირჩია თავის მითამაშედ სამიყვარულო დრაფტიდან.



REUTERS ტორონტოიდან

სარბიელი
საორტული გაწეით
გაიოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გაიოცემა ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ზონსპერია
ლიტერტორი ბიორგი ოძროშქაღლიძე
რედაქტორი თამაზ მიბრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერამე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ავთელიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანა, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაპლი შირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: ვაა ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კვლავრაძე, თარ მაღლაკლიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლონჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, სათუნა ბუნუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაყელიძე, სვეტა დეკაძე, ფატი დვალისაშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საზოცო მისამართი:
თბილისი - 79, საზოცო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
<http://www.sarbieli.com.ge>